 ნენ, ბედნიერ იქმნების ჭ განათლდა სმნათა.

159. მოქმედებითს სმნიებში უფალი აჩვენებს



მოქმედსა და ძიებას აჩვენებს ვნებულისა, მანგ. შეტრე
 რემ მოჭკვეთა ხე, ჰავლე ჰსწერს წიგნსა, აქ ლექს-
 ნი: შეტრე და პავლე არიან უფალნი მოქმედნი
 სსქმისა; ხოლო ხე და წიგნი არიან ვნებულისა ნა-
 თესაჲს ძიებანი ამჲ მოჭკვეთა და დაწერს მოქმედე-
 ბითი წმინებისა. ამის წინამდღეჲ, ვნებითს წმინ-
 ებში ძიებას აჩვენებს მოქმედსა სსქმისა და უფა-
 ლი ვნებულისა, მანგ. ხე მოიკვეთა შეტრესაგან,
 წიგნი იწერება ჰავლესაგან, აქ ლექსნი: ხე და წიგ-
 ნი არიან ვნებითნი უფალნი, ხოლო ლექსნი:
 შეტრესაგან და პავლესაგან არიან მოქმედნი ნა-
 თესაჲს ძიებანი, ამჲ მოიკვეთა და დაწერა ვნებ-
 თითი წმინებისა.

შეთხზვასა. სუდა პირველი ულჯულების წმინათა
 სსხელთა თანა.

140. ქართულ ენას ეს სიძნელე აქვს რომ სხვა
 ენების წაირად ერთს და იმაჲ ბრუნვასა არ მიიღებს
 ხოლმე უფლად და ძიებად ყოველს დროში და ყო-
 ველს სქესში, არაბედ შეჭსტვლის უფლისა და ძი-
 ების ბრუნვასა, დროჲს და სქესის დაგვარ. უფლად
 ხან სსხელბითს, ხან მიტვიპითს და ხან მოთხრო-
 ბითს ბრუნვას მოითხოვს, და ნათესაჲს ძიებადაც

ხან შემასმენლობითს ჭ ხან მიცემითს ბრუნვასა,
 რომლისათჳს საჭიროა ცოდნა შემდეგი კანონე-
 ბისა, მკ. ა. შირველი უღლულების შემოქმედე-
 ბითნი ზმნანი სასლვრებითის სქესის აწმდგომსა,
 უსრულსა ჭ ქმნადს დროთა შინა მიიღებენ უფლად
 სახელობითსა ბრუნვასა ჭ ძიებად მიცემითსა
 ბრუნვასა, მკ. პეტრე ჭსწერს, ჭსწერდა, დაჭს-
 წერს წიგნსა. ზავლე აშენებს, აშენებდა, აღაშენ-
 ებს სახლსა, ჭ სხ.

ბ. სრულს დროსა შინა მიიღებენ უფლად მოთხ-
 რობითის ბრუნვასა ჭ ძიებად შემასმენლობითსა,
 მკ. პეტრემ დაჭსწერა წიგნი; ზავლემ აღაშენა
 სახლი, ჭ სხ.

გ. უსრულესსა დროსა შინა, მიიღებენ უფლად
 მიცემითსა ბრუნვასა ჭ ძიებად შემასმენლობით-
 სსა, მკ. პეტრესა დაუწერია წიგნი; ზავლესა აღუ-
 შენებია სახლი, ჭ სხ.

141. ბრძანებითი სქესის წართქმითთა ორთა-
 ვე დროთა შინა მიიღებენ უფლად მოთხრობითსა ჭ
 ძიებად შემასმენლობითსა, მკ. პეტრემან ჭსწერ-
 ოს, დაჭსწეროს წიგნი. ზავლემან აშენოს, აღა-
 შენოს სახლი, ჭ სხ.

ბ. უკუთქმითნი მიიღებენ უფლად სახელობითსა
 ჭ ძიებად მიცემითსა, მკ. პეტრე ნუ ჭსწერს, ნუ
 დაჭსწერს წიგნსა. ზავლე ნუ აშენებს, ნუ აღაშე-
 ნებს სახლსა.

გ. მეორე სახის უკუთქმითნი უფლად მიიღებენ მოთხრობითსა ჭ ძიებად შემასმენელობითსა, მაგ. ჰეტრემან არა ჰსწეროს, არ დაჰსწეროს წიგნი. ჰაულემან არ აშენოს, არ აღაშენოს სახლი ჭ სხ.

142. ა. სათუო სქესის აწმდგომისა დროსა შინა უფლად მიიღებენ სახელობითსა ჭ ძიებად მიცემითსა, მაგ. თუ ჰეტრე ჰსწერდეს წიგნსა, თუ ჰაულე აშენებდეს სახლსა ჭ სხ.

ბ. უსრული, სრული ჭ უუსრულესი დრონი მიიღებენ უფლად მიცემითს ჭ ძიებად შემასმენელობითს ბრუნვასა, მაგ. თუ ჰეტრეს ეწერა, დაეწერა, დაეწეროს წიგნი. თუ ჰაულეს ეშენებინა აეშენებინა, აეშენებინოს სახლი ჭ სხ.

გ. ქმნადი დრო, სრული ჭ უსრული მოითხოვს უფლად მოთხრობითსა ჭ ძიებად შემასმენელობითსა, მაგ. თუ ჰეტრემან ჰსწეროს, დაჰსწეროს წიგნი. თუ ჰაულემან აშენოს, აღაშენოს სახლი ჭ სხ. განესაზღვრებელი სქესი მიიღებს ძიებად ნათესაობითსა ჭ სახელობითს ბრუნვასა; შირველსა მიიღებს მაშინ, როდისაღ შიროანი ზმნა მისი მოითხოვს მიცემითს, მაგ, განზსრახამ მიცემად მისდა წერილისა. ხოლო მეორესა მიიღებს მაშინ, როდესაღ ზმნა მოითხოვს სახელობითს ბრუნვასა, მაგ. განზსრახე მიცემად მისდა წერილი.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

შეთხზვასა ზედან მეორე უღლულების ზმნათა
 სახელთა თანა.

145. მეორე უღლულების ყოველნი ზმნანი ყოველსავე სქესსა ჭ დროსა შინა ითხოვენ ნიანდაგ უფლად მიტეპითს ჭ ძიებად შემასმენელობითს ბრუნვასა, მაგ. ჰეტრეს უყვარს, უყვარდა, შეუყვარებია თუ უყვარდეს, თუ ჰყვარებოდა თუ შეუყვარდა, თუ შეუყვაროს ღმერთი, ჭ სხ. რომელსა უყვარს სიტრუე მას ჰსძულს სული თჳსი. რომელსა ჰსწამს ღმერთი, იგი ესავს მას, ჭ სხ.

გარნა ამ კანონს არ შეუდგებიან შემდეგი სქესის დროები: შირველად საზღვრებითი სქესის სრული დრო, ჭ სათუო სქესის ქმნადი დრო, რომელიც მიიღებენ უფლად მოთხრობითსა ჭ ძიებად შემასმენელობითს ბრუნვასა, მაგ. ჰეტრემ შეიყვარა ღმერთი, თუ ჰავლემ შეიყვაროს ღმერთი. მეორედ საზღვრებითი სქესის ქმნადი დრო, რომელიც მიიღებს უფლად სახელობითსა ჭ ძიებად მიტეპითსა, მაგ. ჰავლე შეიყვარებს ღმერთსა.

ეს მეორე უღლულების ზმნანი, იმ დროებში რომლებსაც ივალეებენ შირველი უღლულებისგან, მიიღებენ თუ უფლად ჭ თუ ძიებად იმავე ზმნი-

ების ბრუნვებსა.

144. ზმნანი სხმით-გარდასვლითნი ჭ მრ-
 თბლ-სხმით-გარდასვლითნი მიიღებენ უფლად ჭ
 ძიებანდ იმ ბრუნვანთ, რომელთაც მიიღებენ ზირ-
 ველი სახის ზმნანი მათნი. გარნა უსრულსა დრო-
 სა შინა მიიღებენ ორთავე ძიებანთ ე, ი ნათესა-
 თბითსა თუ ბუნებითს ძიებანსა მიცემითს ბრუნვა-
 ში, მაგ. არსიტეკტი (ხუროთ მოძღვარი) მუშებს
 ათხრეჯნებს საფუძველსა ეკკლესიისასა; სოლო
 სრულსა ჭ უსრულესს დროებში ნათესაჲს ძიებანდ
 მიიღებენ შემასქენელობითსა ჭ ბუნებითს ძიებანდ
 ერთში მიცემითსა ჭ მეორეში ნათესაობითს ბრუნ-
 ვასა თანდებულთურთ თვის, მაგ. არსიტეკტიმან
 განათხრეჯნა საფუძველი ეკკლესიისა მუშებსა.
 ნიჟინერს გაუთხრეჯნებია მუშებისათჲს საფუძველი
 ეკკლესიისა, ჭ სს.

თ ა ვ ი მ ე ტ ხ რ ე

შეთხზვასა ზედან უმეშვობითთა (საშუალოთა) ჭ
 უზირა ზმნათა სახელისა-თანა.

145. უმეშვობითი (საშუალო) ზმნანი არა-
 თდეს მიიღებენ ნათესაჲს ძიებანსა, არამედ მხო-
 ლოდ ბუნებითს ძიებანს უფროსი ერთი მიცემითსა,
 დაწყებითსა, ჭ მოქმედებითს ბრუნვანში, ჭ ამასაც

თანდებულის საშუალობითა, მან. ჰავლე ემოწინა-
 ლება მამასა თვსსა. ჰეტრემ განისვენა საქმისაგან.
 მსე ანათებს დღისით ჭ მთვარე ღამით. გიორგი
 წაჯდა ბაღში. იოვანეს ჭსძინავს ოთახში ჭ სს.
 აქ ლექსები: ჰავლე, ჰეტრემ, მზე, მთვარე, გი-
 ორგი, ჭ იოვანე, არიან უფაღნი, ხალა მამასა,
 საქმისაგან, დღისით, ღამით, ბაღში ჭ ოთახში არი-
 ან ბუნებოთნი ძიებანი ემოწინალება, განისვენა,
 ანათებს, წაჯდა ჭ ჭსძინავს უმეშვობითთა ზმნთა,

146. უმეშვობითა ხატმოქმედებითნი ზმნანი
 მიიღებენ უფაღ იმ ბრუნვებში რომლებშია
 მოქმედებითნი ზმნანი, ხალა ძიებდა მიიღებენ
 სხვა ჭ სხვა ბრუნვასა, მან. იხარებს მართალი
 საქმეთა თვსთა ზედა. იშვებდა მონა კეთილი მრ-
 ვაღ აღმატებულ ღვაწლთა თვსთა თვს ჭ სს.

უმეშვობითა ხატმოქმედებითნი ზმნანი უფაღ
 ითხოვენ მრავალჯერ სახელობითსა, ხალა ძიებ-
 და განურჩევლად სხვა ჭ სხვა ბრუნვასა, მან. დაუ-
 შვერ ღვაწლსა შანა. ვჭსწვეები მოთუთქილი შრ-
 მისაგან მოსასვენად. ვჭსწვეები უგუნურ კანთა ზე-
 და. ვჭყვეები ხემს მიზიდულუბასა. ქრისტე აღჭსდ-
 გა მკვდრეთით დღესა მესამესა, ჭ შემდგომ ორ-
 ძეოცისა დღისა ამაღლდა ზეცას ღვთიული ძლიე-
 რებითა თვსითა.

147. ბუნებითა ძიება იცნობების დადებით სა-
 შუაღ ზმნის შემდგომ ვის? ვისთვის? მან. მე



გელაზარაკე, ვის? მამასა შენსა. შენ შრომობს-
 თვს? სასოკადლების სიკეთისათვს. იგი მკვდრ-
 ობს, სად? თფილისში ჭ სს. მამა მამასა შენსა,
 საზოგადოების სიკეთისათვს ჭ თფილისში არიან
 ბუნებითნი ძიებანი გელაზარაკე, შრომობ ჭ მკვდ-
 რობს საშუალო ზმნიებისა.

148. უშირო ზმნანი აიღებენ ძიებად მიტეპითს
 ბრუნვასა, მაგ. ჯერ-არს შენდა; ჯერ იყო შენდა
 ჭ სს. სოკჯერატ მიტეპითს ბრუნვასა მას დაემა-
 ტების მარტვალიტა და, და, მაგ. ჯერ იყო იო-
 ვანესდა ანუ იოვანესდა ქმნა საქმისა აძისა ჭ სს.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

შეთსვვასა სედა მიმლეობითთა.

149. მიმლეობანი, ოდესაც იხმარებიან ჯთარ-
 ტა სედშესრულნი, შეთანხმავდებიან არსებითთა
 სახელთა თანა, რომელთაცა ეკუთვნიან იგინი
 რიცხვთა ჭ ბრუნვითა, მაგ. ყოვლის-მჟჳრობელი
 დმერთი; ადწერნილი წიგნი; მოსავვთი ხე ჭ სს.

150. ხოლო ოდესაც იხმარებიან ვითარტა
 ზმნანი, მაშინ მიიღებენ ძიებასა სხვა ჭ სხვა ბრუ-
 ნვათა შინა: მოქმედებითი ზმნიების მიმლეობა
 მიიღებს თვს ძიებად ნათესავობითს ბრუნვასა,
 მაგ. იესო ქრისტე მომქმედი საკვრველებათა,

მსხნული ვანტან ნათესავის ჭ ვეთილის მყოფე-
 ლი ყოველთა. სოლო ვნებითი მიძლეობა მოით-
 ხლავს ძიებად დაწიყებითსა ანუ მოქმედებითსა ბრუ-
 ნვასა, მაგ. მოკლებული ყოველი სივეთისაგან.
 წიგნი აღწერილი პეფრესაგან ანუ პეფრესით-
 მიერ.

სოკჯერაჭ შემოქმედებითნი მიძლეობანი მი-
 ილებენ ძიებად ნაცვალ-სახელის შემასმენელობითს
 ბრუნვასა, მაგ. ერთ ჩემო, მნატრებულნი შენნი
 გაცდუნებენ თქვენ; მტანჯველნი ჩემნი; მღევნ-
 ელნი მისნი ჭ სხ.

151. ვნებითნი მიძლეობანიცა სოკჯერამე მი-
 ილებენ ძიებად სახელთა წმინის-ზედად დაბოლო-
 ებულთა, მაგ. დადგინებული მეფეა; მოღებული
 სსსმეფად ჭ სხ.

152. მიძლეობანი წინმოებულნი უმეშეო-
 ბითთა წმინათაგან არ მიილებენ ნათესავს ძიებასა,
 არამედ მხოლოდ ბუნებითს ძიებასა სხვა ჭ სხვა
 ბრუნვასა შინა, თუ თანდებულთ ჭ თუ თანიერ
 თანდებულთა, მაგ. მავალი გზასა ანუ გზასა ზე-
 და; მტირალი შჯლთა, მტირალი შჯლთა თჯსთა;
 დევნულნი სიძმართლისათჯს ჭ სხ.

155. მიძლეობანი სსმსავე დროსა შინეა თაჯს-
 სა გარდაუღვენ წმინის ზედათაგან დაძმტებითა მარ-
 ცვლისა ად; მაგ. მიძლებულად, შესაწიყნარად,
 წარსრულად; სწიყრად, დასაწიყრად ჭ სხ.

154. მიმღეობანი სიტყვათა შინა იწყებენ
 ადგილსა ზმნისა ჭკუაჲგ მოღებითი ნაცვალ-სახე-
 ლისასა ამის რთელი, მაგ. მკითხველი, ჯამბე
 იგი რთელიც კითხულობს; შემწირველი, ჯამბე
 იგი, რთელიც იქმს შემწირვასა ჭსს.

თ ა გ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

შეთხზვასა სკდა თანდებულისა.

155. თანდებულსა აქვს თაჲსი ძიება ეგრედ,
 როგორც სხვა სიტყუს ნაწილებსა ჭ მოეკიდების
 იგი მარადის იმ სახელთა, ნაცვალ-სახელთა ჭ მიმ-
 ლეობათა, რთელნიც არიან ძიებანი თჲსნი, მაგ.
 წინაშე ღვთისა, ახლოს ტაძრისა, ფრთეთა-სკდა
 ქართასა ჭ სს. წინაშე ვისი? ღვთისა; რის ახლოს?
 ტაძრისა; რასკდა? ფრთებსკდა; აქ ლექსნი: ღვთი-
 ს, ცაბრისა ჭ ფრთეთა არიან ძიებანი ახლოს,
 სკდა ჭ წინაშე თანდებულთა.

156. თანდებულნი დასხმულნი წინარე, ითხო-
 ვენ ხშირად ძიებად ნათესაობითს ბრუნვასა, მაგ.
 ახლოს ქალაქისა, შემდგომ სიკვდილისა, წინაშე
 ტაძრისა, თჲნიერ სიტყვისა ჭ სს.

157. თანდებულნი დასხმულნი შემდგომად, ით-
 ხოვენ ძიებად მიტეპითსა ბრუნვასა, მაგ. სახლსა
 სკდა, ტაძრსა შინა ანუ შორის, გარეშე ჩემსა,

სართულსა ქვეშე ზ სხ. ზოგნი ესრედ შემდგომად დადებულთ თანდებულთაგანნი ითხოვენ ძიებად ნთავსაობითსა ბრუნვასა, მაგ. ღვთისადმი, ღვთისა მიმართ, სიტყვისაებრ, შრომისა გამო, სარქმისათვის ზ სხ.

158. (თურთ) მიიღებს ძიებად მოქმედებითს ბრუნვასა მტსპობით ბოლოთასისი, მაგ. კაცთურთ, ჩემითურთ ზ სხ.

159. (უ) ოდესაც დაედების სახელსა წინარე ზ არ ექმნება ბოლოში მარცვალთ ესი წნიშნავს უკუთქმასა, მაგ. უბიწო, უმანკო, უცნობი ზ სხ. ხოლო ოდეს მოკვიდების სახელსა, რომელსაც ბოლოს მარცვალთ აქუს ესი ზ თავშიდ უ მანშინ შეიქმნების იგი შედარებითი ანუ გარდასქეტიებითი. ზედ-შესრული. იხილე ზარაკრათვი 15.

160. (თანა, თან) ოდესმე დაერთვის თავად ლექსთან ზ ოდესმე ბოლოს, მაგ. თანამდები, თანაშემწე თანახმა; კაცთა თანა, ჩემთანა ზ სხ.

161. (ებრ) ზოგჯერ მოკვიდების სახელთან ზ შესცვლის მათ ზმნის ზედად ანუ ზედ-შესრულად დართვთ ბოლოშიდ ი ასოჲსა ანუ მარცვლისა იგი მაგ. ანგელოზებრ-ებრი-ებრიჲ, რომლის ნაცვლად მდაბიურს ლაზარაკში იხმარების ებ, ებურ, ებური, მარცვლები, მაგ. ხარებ ღმუვის; ჩვენებურ, თქვენებური ზ სხ.

თ ა ვ ი მ ე თ რ მ ე ტ ე

შეთხზვასა ზედა ზმნის ზედისა.

162. ვითარცა ზედშესრულნი აჩვენებენ ვითარებასა ანსებითი სახელისასა, ეგრეთვე ზმნის ზედანიცა მოეკიდებიან რა ზმნათა ზ მიზლეობათა, აჩვენებენ მათი მოქმედებისა ზ ვნების ზთანებასა, რაოდენობასა, დროსა ზ ადგილსა, მაგ. კარგად ჰსწერს, მშვენიერად იწერების, კანდიერად მოლაშარაკე, ერთგვის დწერელი, სწრაფად წასასვლელი, ხვალ მოსასვლელი, ზეგ გასასწოპი, სად მიხვალ, აქ ვშრომობ ზ სხ.

163. ზმნის-ზედანი წარმოებულნი ზედ-შესრულთან გან ითხრვენ ძიებად მასვე ბრუნვასა, რომელსაც აიღებენ ზედ-შესრულნი იგინი, მაგ. მჰსკავსად ცეცხლისა, ღირსად ქებისა ზ სხ.

164. ოდეს ერთი უკუთქმითი ზმნის ზედა მიეწერების ზმნასა ზ მეორე სახელსა, მაშინ დაშთების ჰსწერი უკუთქმისა, მაგ. აწაჟნ კარდამავალ ჰსჯულისა არ იქების.

თავი მეცამეტე

შეთხზვას სუდა კავშირთა.

165. კავშირთაგანნი სოჯნი დიდებინ უწინარეს ლექსთა ჭ სიტყუათა, ვითარცა მიხეცებრივნი კავშირნი ესენი: რამეთუ, ხოლო, ამისთვის, უკეთუ, ოდეს, თუმცა, მაგ. რამეთუ მოვალს უაძი, ხოლო მე გეტყვი თქვენ ჭ სხ. ჭ სოჯნიცა დიდებინ შემდგომ სიტყუათა, ვითარცა, მაშ. მაშინ, გარნა, არამედ ჭ სხ. მაგ. არათუ ოდენ სტუმარი, არამედ მეგობარიცა ჭ სხ.

166. კავშირნი ესენი: ჭ, ვითარცა, არა, არამედ, ანუ, ჭ სხ. მოითხოვენ ერთებრსა ბრუნვასა, მაგ. ვითარცა მსე, ეგრეცა მთვარე. არა თუ ოდენ განდი, არამედ პირუტყუნიცა ჭ სხ.

167. ზე, ჭნიშნავს დროსა, უამსა, მაგ. ზონტოელისა პილატეზე ჭ სხ.

168. და, განავითარებს ლექსთა, მაგ. არისდა? მოვალსდა? ვერღარა, ნურღარა, ვიდრეღა ჭ სხ.

169. თქო, იხმარების ოდეს სხვისა პირითა უუთვლიან რასმეს მესამე პირსა, მაგ. წაიღეთქო მოიტანეთქო ჭ სხ. ესრეთვე მეთქი, ვითარცა, მე ვჭსთქვი, ეს იხმარების მაშინ, ოდეს თავის ნათქვამსა მიუთხრობს ვინმე სხვასა, მაგ. მე უთხარი მოვედი მეთქი; ხოლო სხვის სიტყუანსედ იხ-

მარების ო მკ. ვჭსთქვი სიტყუაჲო. შექმდგომ
 სამისა დღისა ალგჭსდგეო (მათ. კზ. 65.)

თუ იხმარების ა. განწვანლებითად, მკ. პეტრე
 თუ ჰაუაჲე. ბ. კითხვითად, მკ. ჭსჭირდეს ვისმე
 თუ თქვენსა ილოტეუდინ, მოაზნინე თუ ვინმე ანს,
 ვალობდინ ჭ სხ. (იაკ. ე. 13. 14.) გ. თუ-
 ბითად, მკ. დღეს თუ ხმისა მისისა ისმინათ,
 ნუ განითუიცხებთ გუღთა თქვენთა, (ფს. 56).
 დ. დაესხმის ნაცვალ სახელთა, მკ. თუ ვინ, თუ
 რამეჲი ჭ სხ. ე. ოდესმე ზმნის-ზედათა, მკ.
 თუ ვითარ. თუ რაოდენ ჭ სხ.

170. ცა, დაერთვის შეერთებით ბოლოს ლე-
 ქსთა ნაცვალ სახელთა ჭ ზმნის-ზედათა მკ.
 უფალიცა, მონაცა, მერმეცა, ვინცა, რაძცა,
 რამეჲიცა, ვითარცა ჭ სხ.

171. რე, ვე იხმარებიან ბოლოს ლექსთა,
 მკ. მანვე ჭსთქვა, უდიდესადრე ჭ სხ. საუბარსა
 ენასა შინა იხმარების მარცვალთა ვი ნაცვალად ლექ-
 სებისა ამისა გარნა, ხოლო, მკ. პეტრეი ლა-
 ჰარაკობდა, ჰაუაჲეი კი ხმას არ იღებდა. იმერ-
 ლები ხმარობენ ვი მარცვალსა ნაცვალად დინდისა.

თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე

შეთხვისათვის შორის-დებულთა.

172. შორის-დებულნი ითხოვენ ძიებად სხვა
 ჭ სხვა ბრუნათა:

ა. სასულდობისა, მაგ. ჰი უბადრუკი! ჰი სიღრ-
 მე სიძლიდრდა ჭ მეცნიერებისა ღვთისა! ჭ სხ.
 ბ. ნათესაობისა, მაგ. ვაჟ კაცისა შავის! ჭ სხ.
 გ. მიტეპითსა მაგ. ეჭნ მხნესა კაცისა! ჭ სხ.
 დ. წოდებითს, მაგ. ჰი! მოყვასნო ჩემნო.
 ჭ შე შევე!

თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე

კანონიერ-წერასა ზედა.

173. კანონიერ-წერა ასწავლის კანონიერად
 გამობატვასა ასოთა, მარცვალთა ჭ ლექსთა სიტ-
 ვუასა შინა.

174. ხმარებისათვის ასოთა სათანადო არს
 ცოდნა, ვითარმედ საუბარსა ენასა შინა ბევრჯერ
 შეიცვლებიან ასონი შემდეგი სახითა:

ა, შეიცვლები ე ასოსა ზედა მაგ. ახლან, ეხ-
 ლან; წივიდან, წივიდან ჭ სხ.

ბ, მ, მ, მ, ფ, ასოთა ზედა, მაგ. ბრუდე, მრუდე;

შილწი, ჰილწი; ადვასრულებ, ადვასრულებო
 გ, შეიტვლები ქ, კ, ზედა მან. აკე, ადექ;
 გურკა კურკა.

ღ, . . . თ, მან. კარკად, კანკათ.

ქ, . . . ი, მან. ეჭვი, იჭვი,

ვ, . . . მ, მან. ვსჭვერავ, ვსჭვერამ,

ზ, . . . ს, უ, ძ, მან. მზგვისი, მსგავსი;

მიზღვეს, მისღვეს; ზრიალი, ურიალი; ზანხი-
 ლი, ძანხილი.

ლ, . . . ნ, რ, მან. ბანანი, ბანალი; ლბი-
 ლი, რბილი; ცალიერი, ცარიელი; ორჯერ,
 ორჯელ.

მ, . . . ნ, მან. მანკალი, ნამკალი.
 ნამღვილი, ნანღვილი; ზოგჯერცა მოეკვეთების,
 მან. მტრელი, ტრელი; მსუბუქი, სსუბუქი.

ო, . . . ვან, მან. კომლი, კვამლი; ზომან-
 ლდი; ზვამანლდი.

რ, . . . ს, შ, მან. რძე, სძე. რძალი, სძა-
 ლი; რტო, შტო; რდესა, როდესა.

ს, . . . შ, რ, მან. სიმშილი, შიმშილი;
 ჭსტხვენის, ჭრტხვენის.

ყ, . . . კ, მან. ყლორტი, კლორტი; ყურ-
 დღელი, კურდღელი.

შ, . . . ჩ, მან. შაშხი, ჩაჩხი; შვიდმეტი,
 ჩვიდმეტი.

ჩ, . . . ც, მან. ჩოჩვა, ცოცვა.

წ, • ჭ, მაგ. წმასი, ჭმასი; სიწვი, სიჭვი.

ჭ, • ჯ, მაგ. ჭინჭველი, ჯინჭველი.

ხ, • ჯ, მაგ. ხარი, ჯარი; მხარე, მჯარე; ხორცი, კორცი; ხელი, გელი; ჭ სხ.

ჭ, იხმარებს შემნათა შინა, რომელთაცა ჰირველსა ჰირსა ზნა შემდგომ ვ აქვსთ რომელიმე უხმო ასო, მაგ. ვჭსწერ, ვჭსჯი, ჭსჯი. ჭ სხ.

თავი მეექვსე მეთე

განყოფისათვის მარცვანათა.

175. მარცვანთა გარდაიტანებიან ერთი ტრიქონისაგან მეორე ტრიქონზედ გარდასატანი ნიშნითა ამით - ჭ შემდეგი განონებიითა.

ა. ერთ-მარცვლოანი ლექსები არაოდეს გარდაიტანებიან მეორე ტრიქონზედ, მაგ. მე, შენ, ის, ხმა, ჭ სხ.

ბ. თანდებულთა თანა შეკრულნი ლექსნი გარდავლენ ესრედ: თანა-მდები, კანცისა-თვის, ჭ სხ.

გ. უამსა ლექსის გარდასატანისა მეორე ტრიქონსა ზედა, მარცვანთა შინა მარადის უნდა იპოებოდეს ერთი რომელიმე ხმოანი ასო, მაგ. სა-სო-ე-ბა, დი-დე-ბუ-ლი, სათ-ნო, მი-ე-ცა, მე-ექვ-სე, ჩე-მი, ჭ სხ.

დ. ჭრთულნი ლექსნიცა უშესაბამედ დაიწე-
 რებიან გარდაბმითი ნიშნითა, მაგ. მჭევრ-მეთქვ,
 ერთ-არსება, თანა-შემწე; გარნა არა 'აშინ, ოდეს
 დასვდებიან მარტვალნი უაზრონი, მაგ. აღმო-
 სული, შთამოსული ჭ სხ.

თავი მეჩვიდმეტე

ნიშნთა ზედა კანონიერი წერისა.

176. ნიშნნი კანონიერი წერისა არიან შემ-
 დგენი, რომელთა მნიშვნელობანი რეგულური არიან
 ქართულსა შინა, ვითარცა რუჟულსა ჭ სხვა ევ-
 რომეულითა ენათა შინა.

ა. მძიმე (,).

ბ. წერტილი ჭ მძიმე (;) .

გ. ორი წერტილი (:) .

დ. წერტილი (.) .

ე. ნიშანი კითხვითი (?) .

ვ. ნიშანი განკუთვებითი (!) .

ზ. ფრჩხილი () .

წ. შემკვრელი ანუ გარდასატანი (-) .

თ. კლებული (0) .

ი. ბრჯგუ უნისა (ႁ) .

იან. სამოწმებელი (“ ”) .

ანბ. ქრანკმა რომელი არის ორ-გვარი: შირვე-



ლი (ი) დიდების წმიდანთა სასულიერო ზედსაქმისა
მოკლებულ სიტყვას, ზე მეორე (ს) დიდების
სასოგადო ლექსთა ზედსაქმისა მოკლებულადვე
მართი, მსგ. ყ ლ დ, ყოვლად. ქ ლ ე, ქრისტე ზ
სხვანტ.

დასრულდა შემწეობითა

ფრთხილთა.



დ ა მ ა ტ ე ბ ა


დასასრულს გრამატიკის ამის მოვიყვანთ აქ მაგალიტთა გრამატიკური და ლოგიკური ანალიზებისას (დარღვევებისას), რომლებს სწავლას ძრიელ საჭიროა ყრმათათვის, რათა ამითი არა მარტო მალე გაეხსნას მათ ფიქრი არამედ შეიძლოს გრამატიკის კანონების ზრტიკაში შეტანა, ყოველნაირი თხზულების ასრის ჩახედენა, და განჯისაებრ უბნობა. ამისათვის მასწავლებელმან (ვითარდა ჭყოფენ ევროპის სკოლებში) ხშირად და დიდხანს უნდა არღვევინოს ხოლო ყრმათა ნაირ ნაირი ქართული თხზულებები ქვემოთ აღწერილი მაგალიტებისა ებრ.

თ ა ვ ი მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე

გრამატიკური დარღვევისა ზედა (Analyse).

გრამატიკული დარღვევა არის განყოფილება და განჩევნა სხვა და სხვა ლექსით, რომელნიც მოიხილებიან წინადადებაში, და ცნობა მათი ურთიერთისა დამი მიმართობისა.

მიზანი გრამატიკული დარღვევისა არის გამოკვება და განცნობა ნათესავისა, რიცხვისა, ბრუნვისა და განკლელობისა არსებითი სხვებისა,



სკედ-შესრულისა, ჭ ნატვალ-სახელისა; სქესისა, რიტხვისა, უღლულებისა, ჭ სხ. აქანსთანვე ვაწნობატა სმნისა, უფლისა, ჭ ძიებისა მისისა.

შატალიტი გრამტიკული დარღვეუსა.

უფალმან უთხრა აბრამს: დასტოვე სამშობლო შენი, ჭ სახლი მამისა შენისა, ჭ მოვედ ქვეყნად, რომელი გიჩვენო შენ. მუნ დაგზადნო მე შეგან ერნი დიდებულნი, ჭ გაკურთხო შენ, ჭ შენ-გამოყოველნი ნათესავნი იკურთხნენ ჩემგან.

დარღვევას (analyse).

უფალმან | არსებითი სახელი, მოთხრობითი ბრუნვა მეორე განკლედობისა ჭ უფალი უთხრა სმნისა.

უთხრა | მოქმედებითი უკანონო სმნა აწმდგომი ვეუბნევ, სრული ვუთხარი, ქმნადი ვეფუვი. მხოლოდობითი მე-საპე შირი სრული დროსი.

აბრამს | არსებითი საკუთარ სახელი, მეხუთე განკლედობისა, აბრამ-მისა, მიტემითი ბრუნვა ჭ ბუნებითი ძიება უთხრა სმნისა.

დაუტყვე	მოქ. ზმნა, ჰირველი უღალატესი ბრძანებითი, მხო. მეორე ჰირი.
სამშობლო	ზედ-შესრული რომელით შეიტყობუ- ბის არსებითი სსხ. ესე ქვეყანა, შე- მასმენულობითი მხოლ. შესამე კანკ. ნათესაჲს ძიება დაუტყვევე ზმნისა.
შენი	მოკ. ზედ-შესრული სამშობლო-სი. კავშირი ლექსი უცვალებელი.
სახლი	არსებითი სს'ოგადლო სსხ. მეორე კანკ. მხო. შემას. მრ. მეორე ნა- თესაჲს ძიება დაუტყვევე ზმნისა.
მამისა	არსები. სს'ო. სსხ. ძიება სახლისა მხო. ნათესაგობითი ბრუ. მეორე კანკლ.
შენისა	მოკ. ზედ-შეს. მამისა რომელთანაჲ შეთანხმებულის რიცხვითა ზ ბრუნვი- თა კავშირი.
მოვედ	უმეშობითი ზმნა უკანონო, მხო- ლოლობითის მეორე ჰირი.
ქვეყანად	არსებითი სს'ოგადლო სსხ. ჰირველი კანკ. მიტევი. ბუნებითი ძიება მო- ვედ ზმნისა.
რომელი	კვლავ-მოღებითი ნაცვალ-სახელი, მხო. შემას. ნათესაჲს ძიება გიხვე- ნო ზმნისა.
გიხვენო	მოქ. ზმნა ჰირ-ნაკლი (მეორე მანკა- ლიტისა) ქმნადი, მხო. მეორე ჰირი

- რომლის უფალი ძალით შეიტყობს
ბის რომელ არს მე (ღმერთი).
- შენ შიროვანი ნაცვალ-სახელი მეორე ში-
რი მხო. ბუნებითი ძიება გიხვენი-
სმნისა.
- შენ ადგილობითი სმნის-სედა.
ღვებანდნო შემოქმედებითი სმნა ქმნადი შირვე-
ლი შირი, მხო. რომლის უფალი
არის მე (ღმერთი).
- მე შიროვანი ნაც, სახ. შირველი შირი,
მხო. უფალი ღვებანდნო სმნისა.
- შენგან შიროვანი ნაც. სახ. მეორე შირი,
მხო. გაძოლებითი ბრუნვა ბუნებითი
ძიება ღვებანდნო სმნისა.
- ერნი არსებ. საზო. სახ. მრავ. მეორე ვან-
კლედ. შემსმენლობითი. ნათესაჲს
ძიება ღვებანდნო სმნისა.
- დიდებულნი ზთარებითი სედ-შესრ. მრავ. შემსს.
ბრუნ. შეთანხმე. თაჲს არსებით-
თან ბრუნვითა წი რიცხვითა.
- ღ კავშირი.
- გაკურთხო შემოქმედი სმნა ქმნადი მეორე ში-
რი მხო. რომლის უფალი ძალითად
შეიტყობების მე (ღმერთი).
- შენ შიროვანი ნაცვალ-სახელი, მეორე
შირი მხო. ნათესაჲს ძიება გავუწყო-



სო. წმინისა.	კავშირი.
შენ	პირიანი ნაც. სახ. მხო. შემასმენ.
კამო	ძიება გამო- თანდებულისა.
ყოველნი	თანდებული.
ნათესავნი	საზოგ. ანსებ. სახ. მრ. სახელობი.
იკურთხენ	შეოდ-შესრუ. განუსაზღ. მრ. შეთან- ხმებული თაჲს ანსებით სახელთან ბრუნ ვითა ჭ რიცხვითა.
ჩემგან	შეოდ-შესრუ. უფალი თაჲსი შედ-შე- სრულითურთ იკურთხენ ვნებითი წმინისა.
	ვნებითი წმინა მყოლობადი, მრავლო- ბითი, მესამე პირი.
	პირი. ნაცვად-სახელი პირველი პი- რისა მხ. გამოდ. ბრუნვან, ნათესავის ძიება იკურთხენ ვნებითი წმინისა ჭ ნაცვლად ღვთისა დადებული.

თ ა ვ ი მ ე ტ წ რ ა მ ე ტ ე

ლოდიკებრივი ანალიზისა შედა.

ლოდიკებრივი ანალიზი არის საშუალობა, რომლით დაირღვევან ყოველნი სიტყვება ჭ ფრან-სები გასარჩევლად ჭ საცნობლად აწრისა გინა

სიტყვის თვითეული ნაწილებისა. სიტყვას გინს
 ფრანზი არის ერთად შემოკრებს სხვას ჭ სხვას იდი-
 უბისა. იღის არის ცხადათ ჭ გარჩევით წარმოდგე-
 ნა გონებაში რომელიმე საგნისა, მაგ. ღმერთი,
 ვეთილი, ჰაერი, ცუდი. აი ესენი არიან იღისანი.

როცა გონებაში წარმოდგენთ ორს იღისსა გა-
 მოვიძვეთ ჭ გამოვიტნობთ მათს ურთიერთისა-თა-
 ნა მიმართობისა ანუ მიუმართველობისა, ამას
 ეწოდების ჰსჯრ, მაგ. ღმერთი არის კეთილი. ჰაე-
 რი არის ცუდი; ხოლო როცა ჩვენ გონებაშიდ ეს-
 რედ განჰსჯის შემდგომ გამოვაცხადებთ მას სიტ-
 ყვით, ანუ წერილით, ანუ ნიშნით, ამას ვუძახით
 წინადადებასა. ყოველი წინადადება სამი ლექსით
 შესდგება, რომელნიც ანუ გამოცხადებულნი იქმ-
 ნებიან ანუ ძალით გინს თუქრით წინადადებაში
 შეიტყოებიან, ჭ არიან ესენი: ქვემდებარე, მძნა
 ჭ შესმენილი.

ქვემდებარესა გინს უფალსა ზედა.

ქვემდებარე არის ის ლექსი გინს ის საგანი რომ-
 ელსა ცეკუთუნის წინადადების ჰსჯა, მაგ. ღმერ-
 თი არის კეთილი. ჰაერი არის ცუდი. აქ ლექსნი
 ესენი: ღმერთი ჭ ჰაერი არიან ქვემდებარენი.

ქვემდებარე იქმნება ყოველთვის ანუ არსებითი
 სახელი, ანუ ნაცვლად მისისა ზედ-შესრული, ანუ



ნაცვალ-სახელი, ანუ განუსაზღვრებელი, ანუ მისი
 ღებობა მან. ღმერთი არის კეთილი, იმან დაკვება-
 და ჩვენ, მისი შეფუძნება არის ჩვენი ვალდებულ-
 ღობა.

ქვემოთა რე ითქმის მარტივი (simple) ანუ შეს-
 ვებული (composé.) მარტივი არის როცა ერთ არსს
 აღნიშნავს, ჭ ანუ შემკრებლობითად მრავალთა
 არსთა, მან. ღმერთი არის კეთილი. ვაძნი არიან
 მოკვდავნი; ხოლო შესვებული არის, ოდესაც
 აღნიშნავს ერთმანერთისაგან გარჩეული სახის
 მრავალთა არსთა, მან. ცხენი ჭ კარი არიან სასარ-
 გებლონი; ანუ ერთასა ჭ იმავ სახის არსთა გარბე-
 ვითად აღებითა, მან. ეს ვაძნი ჭ ის ვაძნი არიან
 ჩვენი შეგობარნი.

ქვემოთა რე იქმნება შენაწევრებული (complexe,) ანუ
 ანუ შენაწევრებული (incomplexe.) შირველი არის,
 როცა რომელიმე ლექსით ქვემოთა რე განვითარებ-
 ბულია, გარდა ჩვენებითი ჭ შეძინებითი ნაცვალ-
 სახელებისა, მან. ბოროტი სვინიდი არა ოდეს
 მოსვენებულია; ხოლო მეორე არის, ოდესაც ჩვე-
 ნებითი ჭ შეძინებითი ნაცვალ-სახელების გარდა,
 სხვა განმავითარებელი ლექსი არა იქმნება ქვემოთა-
 რესა მას, მან. ეს წიგნი ჩემია.

გრამატიკული ქვემოთა რე ეწოდების იმ ლექს-
 სა, რომელსაც მიეწერება ჰსჯის საგანი; ხოლო
 ლოლიკებრივი ქვემოთა რე არის ესევე ქვემოთა რე

რე, მაგრამ თავისი ძიებებითა.

შესმენილსა ზედა.

შესმენილი არის ის თვისება გინა ის ნაირობა, რომელიც გამოატყნადებს ქვემდებარის მყოფობის ვითარებასა ანუ თვისებასა, მაგ. ღმერთი არის კეთილი. ჭკერი არის ცუდი. აქ ლექსნი: კეთილი ჰ უდი არიან შესმენილნი.

ლექსნი, რომელიც განდებთან შესმენილად, არიან: სახელნი, ზედ-შესრულნი, ნაცვალ-სახელნი, მიმდებარნი ჰ სოგჯერაც ზმნის-ზედანი, მაგ. ეს უმარჯულია, რომელიც გვად იყო. ბრძენმა კაცმა იცის რომ სიტყვი უსახუხის გებარ არ არის.

ვითარცა ქვემდებარე ეგრეთვე შესმენილიც იქმნება მარტივი, ანუ შესაგებული. მარტივი არის, ოდესაც გამოატყნადებს ქვემდებარის მყოფობის მხოლოდ ერთს ვითარებას, მაგ. ღმერთი არის მოწყობილი. დიდება არის მაცდური; ხოლო შესაგებული არის, ოდესაც გამოატყნადებს მის მყოფობის მრავალსახის ვითარებასა, მაგ. ღმერთი არის მოწყობილი ჰ მარტო-მსაჯული.

გვალად, შესმენილი იქმნება შენაწევრებული ანუ შეუწევრებული. შირველი არის, როცა შესმენილს ძიება აქვს, მაგ. ეს კაცი კეთილი ქარაქცერის არის; ხოლო მორე არის, ოდესაც ძი

ებს არა აქვს, მაგ. ქვეყანა მრგვლიან. უმეტესობა
 ნახევარ - ზირუტყობა.

გრამმატიკებრივ შესენილს ვუწოდებთ იმ
 ლექსს, რომელიც ქვემდებარის მყოფობის ზთა-
 რებსა გამოაცხადებს; ხოლო ლოდიკებრივი
 შესენილი არის თვით იგივე შესენილი თაფისი
 ძიებებითა.

ზმნასა ზედა.

ზმნა არის ის კავშირი გინა ის ლექსი რომე-
 ლიც შეარქებეს შესენილსა თაჲს ქვემდებარესთან
 ჭ დაამტკიცებს რომ შესენილის მიერ გამოცხა-
 დებულ ვითარება შეესაბამების ქვემდებარესა ანუ
 არა. ეს ლოდიკებრივ კავშირი გინა ლექსი არის
 არსებითი ზმნა, მაგ. სათნობა არის სავუარელი
 განდომი ზმნასაც აქვს დიდი მსგავსობა ამ არ-
 სებითი ზმნისა, ამისთჲს შეიძლება ზოგჯერ მის
 ადგილს იხმარებოდეს, მაგ. შენ ერთ დღეს შეტ-
 ნიერი იქმნები ანუ განდები. ამათ გარდა სხვა და-
 ნაშენი ზმნანი შესენითნი ზმნანი იწოდებიან,
 ამიტომ რომ იმათში შეიტვიან შესენილი ჭ არსე-
 ბითი ზმნა. შესენითი ზმნა ამ სახით უნდა დანა-
 წილდეს: ზირუელად უნდა დაიდვას არსებითი ზმ-
 ნა იმ დროში, იმ სქესში ჭ იმ ზირში რომელში-
 ნც შესენილი ზმნა მოიხლება, ჭ მეტე უნდა მო-

უკიდოს მას მიმღეობის აწმდგომი იმავე შესმენი-
ლი ზმნისა, მაგ. ვკითხულობ: მე ვარ მკითხვე-
ლი. ჰსწერ: შენ ხარ მწერალი ჭ სხ.

ზოგჯერ თვითან არსებითი ზმნაც იხმარება
შესმენილად, მაგ. დმერთი ყოველგან არის: ესე
იგი, ყოველგან მყოფი.

ზმნა არაოდეს მიიღებს ვითარებასა თუ არ უკუ-
თქმითი ლექსითა, მაგრამ ეს უკუთქმითი ლექსიც
შესმენილს მიეწერება ჭ არა ზმნისა, მაგ. კატე-
ლინას არ უყვარდა კიკერონი: ე. ი. კატელინა არ
მყვარებელი იყო კიკერონისა.

ლოლიკებრივ წინა-დადებასა ზედა.

ლოლიკებრივი წინადადება არის ერთი ჰსჯა გი-
ნა აზრი გამოცხადებულად სიტყვით, ანუ წერილით,
ანუ ნიშნით; ჭ იქმნება მრავალ სახისა.

1. წინადადება, იქმნება სრული (pleine),
ოდესაც მასში სამივე ნაწილი წინადადების
გამოცხადებულად, მაგ. სული არის უკვდავ ჭ სხ.

2. მოკვეთილი (elliptique), როცა რომელი-
მე ნაწილი წინადადების გამოკლებულად, მაგ.
მოვედ ჩემს სანახავად: აქ ქვემდებარე გამოკლებუ-
ლია. ის უმაღური: აქ ზმნა მოკვეთილია. დუმი-
ლი აქ სამივეც გამოტოვილია ე. ი. ქვემდებარე,
ზმნა ჭ შესმენილი



5. წრფელობითი (directe), ზე უწრფელობითი (indirecte). ზირველი არის რაღაცა ლოდიკის კანონით სსმივე ნაწილი წინადადებისა გამოსატყულის: ე. ი. ზირველად ქვემდებარე დადებულთა თაჟისი ძიებითა, მერე სმნა, ზე ბოლოს შესმენილი მსკავსადვე თაჟისი ძიებითა, მაგ. ოქროს მანდები კანდიფორნისა არიან ცნობილნი ყოველთა კანტთაგან; მხოლოდ მეორე არის რაღაცა სსმივე ნაწილი წინადადებისა ლოდიკებრივს რიგ სე დაწყობილნი არ არიან, მაგ. ჟურა ვაკანტებო! იძახდენ ყოველნი მოსწავლენი.

4. ნათლოანი (explicite,) ზე შიგ-შეტყობილი (implicite.) ზირველი არის რაღაცა სსმივე ნაწილი წინადადებისა გამოსატყულის, მაგ. სანმანტობა არის დედა ყოველი შეტდობილებისა; ხოლო მეორე არის, რაღაცა რაშელიძე ნაწილი წინადადებისა არ არის გამოსატყულის, არამედ ძალით შიგ-შეტყობილია, მაგ. ჯეგნეთ კეთილნი, აქ ძალით შეტყობილია ქვემდებარე ესე ჩვენ. კვლად ისიც შიგ-შეტყობილი წინადადებანა რაღაცა ერთ ლექსში სსმივე ნაწილი წინადადებისა შეიტყობება, მაგ. მოვალ: ე. ი. მე ვარ მომსგლელი. აჰ! ე. ი. მე ვარ გამწერალი. კვლად არა ზე დიად ლექსნიცა, მაგ. ჰსწერამ? დიად (ე. ი. ვჰსწერამ). ფიქრობ? არა (ე. ი. არ ვფიქრობ), ზე სხ. მ. განმანტობული (isolée); რაღაცა თაჟისთან-

ვად ჭ მარტოდ გამოხატაჲს ერთიან სრულ ფრანსსა, მკ. მე ბედნიერად ყოფნა მინდა. შარეუი არის დედა ქაჯაქი ფრანციისა.

6. მთავარი წინადადება, რომელიც ორ ნაირი: ერთი მთავარი ჭ დამოუკიდებელი (principale et absolue) ჭ მეორე მიმართობითი მთავარი (principale et relative) შირველი არის, როცა სხვა წინადადებასკად დამოუკიდებულობა არა აქვს, მკ. კაცსა, თუ ბედნიერად ყოფნა უნდა, ჭმართებს იყო-ოს სთხოებინხი; ჭმართებს ჭქმნას კეთილი. ხოლო მეორე არის, ოდესაც მთავარი ჭ დამოუკიდებელი წინადადებისგან დამოუკიდებელია, მკ. კანონიერი ცხოვრება ბრძენს გახდის კაცსა ჭ ბევრ გამოცდილობასაც ასწავლის მას.

7. შემთხვევითი წინადადება; ეს არის ორ ნაირი: განსაზღვრებითი (determinative); ჭ განმარტებითი (explicative). შირველი ეგრედ სარგოა სხვა წინადადებისაზრის აღნიშვნისა ჭ განსაზღვრისა-თჲს (რომელსაც მოეკიდება) რომ არ შეიძლება მისგან მოიკვეთოს თვინიერ წინადადებისაზრის შეცვლისა, ანუ თუთ იგივე ფრანსის მრთელი ძალის დაკარგვისა, მკ. ნიჭიერება, რომელიც დვანწლით შემოსვილია, ყოველგან სარგა-რელია; ხოლო მეორე, რომელიც დაუმატებს ჭ განათვართოებს წინადადებასა (რომელსაც მოეკიდება), მჭიდროთ არ ჭსჭირვია წინადადებასა ჭ

თუ მოეკვეთოს ფრანსის ანდრას ანდრეკო უკნესა,
 შანგ. შენი ნიჭიერება, რადგან იფარება, შენთვის
 უსარგებლოა.

8. ყოველი შემთხვევითი წინადადება დაიწყობ-
 ბება კულავ-მოღებოთი ნაცვალ-სახელითა, ანუ რომ-
 მელიმე კავშირითა, გამორიცხვთ შემდეგთა კავ-
 შირთა. შანგ. დან, ვვანდ, ანუ, არც, ვარნა, ხო-
 ლო, არამედ, მგონა, მინც, მან, მანანდამე;
 თლონდა ამათ კიდევ არ შეუდგეს კულავ-მოღებო-
 თი ნაცვალ სახელი ანუ სხვა რომელიმე კავშირი.

9. სასოგადოდ ერთ ფრანსში იმდენი წინადა-
 დებანი იქმნებიან, რადგანაც ზმნა ზიროვან სქეს-
 ში გამოცხადებულა, ანუ ძალით შეტყობილია;
 ვარნა არ არის სჭირთ ყოველთვის რომ ძალით
 შეტყობილი ზმნიები შეივსონ, თვარა თითქმის
 უსარგებლოთ გამრავლებიან ზმნიები.

ძიებათა სედა.

ლოლიკებრივ წინადადებაში ძიებათა მეორე
 ადგილი უკავთ. ძიებანი სასოგადოდ ექვსი სახე-
 სის არიან: ნათესავობითი, ბუნებითი, ვითარე-
 ბითი, განსასწავლებითი, განმარტებითი და
 ვარემობითი.

1. ლოლიკებრივ ანალიზში ნათესავობითი და
 ბუნებითი ძიებანი არიან ერთი და იგივე ლექსნი

რომელიც გრამმატიკულ ნათესავობით ~~ტ-ბუნე~~
 ბით ძიებანდ იქმნებიან.

2. ვითარებითი ძიებანი არიან ლექსნი იგინი, რომელიც განაყართალებენ ქვემდებარისა და შესმენილის მნიშვნელობასა, მაგ. ანგაზარი კანდი არის უბედურნი ცხოველი. ჩემი ახალი დანა ძალიან მჭრელია.

3. განსასწავლებელითი ძიებანი არის იგი, რომელიც შემდგარია შემთხვევითი და განსასწავლებელითი წინადადებითა ანუ მისი მსგავსი სხვა გამოცხადებითა, მაგ. ის ამბობს მე ვნახე მათი წასვლამო: ე. ი. ვნახე იგინი რომელიც მიდიოდნენ.

4. განმარტებითი ძიებანი არის იგი, რომელიც შემთხვევითი და განმარტებითი წინადადებითა ანუ სხვა მისი მსგავსი გამოცხადებით შესდგება, მაგ. ლონდონი, რომელიც უვანასვნილად ვნახე, უმფრო გაშენებულია ვერემტ შარიუი, დედან ქანაქი ფრანციისა.

5. გარემოებითი ძიებანიც არის იგი, რომელიც გამოცხადებს რომელიმე გარემოებათა თუ ქვემდებარისასა და თუ შესმენილისასა, და იქმნება იგი ადგილისა, დროისა, ნაირობისა, რაოდენობისა და სხ. მაგ. გუშინ აქ ბანკიან ჩუმათ მოვდა მტერი.

ტანსაცანის ლოლიკებრივი ანალიზისა.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

სრული	ნათლოვანი	წრფელობითი
მოკვეთილი	შიგ-შეტყობილი	უწრფელობითი
მთავარი დამოუკიდებელი	შემთხვევითი	კანსაზღ.
მთავა.	მიმართობითი	შემთხ. კანმარტებითი

ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე

ქვემდებარე	მარტივ	შენაწევრებული.
(ქვემ. მოკვეთილი)	შესავებ-	შეუნაწევრებ-
	(უდი.)	(უდი.)

ზ მ ნ ა

ზმნა.	(კანჯთარებული რომელიმე
(ზმნა მოკვეთილი.)	უკუთქმითი ლექსითა).

შ ე ს მ ე ნ ი ლ ი

შესმენილი.	მარტივ.	შენაწევრებული.
(შესმე. მოკვეთი-	შესავებ-	შეუნაწევრებული.
ლი).	(უდი.)	

ფრანკის ლოლიკებრივ ანალიზი კინა დარღვევებზე მოად სსენებული მეთოდისაებრ:

ეს უბედური თავს-მოყვარებას, რომლისგან თუ-თეულს ჩვენგანსა კარგი ნაწილი აქვს, რომე-

ლიც არის უმთავრესი მიზეზი ჩვენ ნაკლებუ-
 ლობათა; მას ვებრძოლოთ მას დაუტყნობელად».

ეს ფრაზი ოთხ წინადადებას შეიცავს, რად-
 ჯან ოთხი სმნა აქვს შიროვან სქესში დადებული:

ა. « ეს უბედურნი თვის მოყვარებან ».

ეს წინადადება არის სრული, რადგან მოიხილუ-
 ბა მასში საძივე ნაწილი წინადადებისა: არის ნათ-
 ლოვანი, რადგან საძივე ნაწილიც გამოცხადებუ-
 ლნი არიან; არის მთავარი დამოუკიდებელი,
 რადგან აწრის მთავარ ნაწილს შეიცავს, ჭ სხვა
 წინადადებათა მას სეუდ აქვსთ დაშლილებულაბა.

ქვეშდებარე არის ეს; არის ეს მარტივი, რადგან
 ერთ არსს აღნიშნავს; არის შეუნაწევრებული,
 რადგან ძიება არა აქვს. არს, არის სმნა.

შესმენილი არის თვის-მოყვარებან; ეს არის
 მარტივი, რადგან ქვეშდებარის მყოფობის ერთს
 ვითარებას აცხადებს; არის შეუნაწევრებული, რად-
 გან ვითარებით ძიებად აქვს უბედურნი; ხალა გან-
 მარტებით ძიებად: რო-მლისგან თვითეთულს ჩვენ-
 განსა ვარჯი ნაწილი აქვს, ჭ განსაწდვრებით
 ძიებად: რო-მელიც არის უმთავრესი მიზევი
 ყოველ ჩვენ ნაკლებულობათ.



ბ. «რომლისაგან თვითეულს ჩვენგანს ვარკვი
ნაწილი აქვს».

ეს წინადადებაც არის სრული, რადგან შეიტვამს
სამივე ნაწილსა წინადადებისას; არის შიგ-შიგ-
ყო ბილი, რადგან სამივე ნაწილი არ არის გაძო-
ცხადებული, ე. ი. შესმენილი ესე შექონი; არის
უწრფელობითი, რადგან სამივე ნაწილი ლოდი-
კებრივ რიგზე არ არის გაწყობილი; არის გან-
მარტობითი შემთხვევითი, რადგან მთავარ ჭ დაძო-
უკიდებელ წინადადების რომელიმე ლექსს განა-
მარტებს.

ქვემდებარე არის თვითეული; ეს არის მარტივი;
რადგან მხოლოდ ერთ არსს აღნიშნავს; არის
შენაწევრებული, რადგან ბუნებით ძიებად აქვს
ჩვენგანს. არს არის ზმნა.

შესმენილი არის მქონებელი; ესეც არის მარტივი,
რადგან ქვემდებარის მყოფობის ერთს ვითარებას
აღნიშნავს; არის შენაწევრებული, რადგან ნა-
თესავის ძიებად აქვს ვარკვი ნაწილი რომელსაც
ბუნებით ძიებად აქვს რომლისაგან, ჭ ვითარებით
ძიებად ვარკვი

გ. «რომელიც არის უმთავრესი მიზეზი ყო-
ველან ჩვენ ნაკლებულობათ».



ეს წინადადება არის სრული, რადგან სამივე სსპივე ნაწილს; არის ნათლო-ვანი, რადგან სამივე ნაწილი წინადადებისა გამოცხადებულია; არის წრფელო-ბითი, რადგან სამივე ნაწილი ლოლიკის კანონზე გაწყობილია; არის განსაზღვრებითი შემთხვევითი, რადგან მოეკიდება მთავარს და მოეკიდებულს წინადადებასა, და ჰსაწოდურის მის რამეაში ნაწილსა.

ქვემდებარე არის რო-მელი; ეს არის მარტივი რადგან ქვემდებარის მყოფობის ერთ არსს აღნიშნავს; არის შეუნაწევრებულთი, რადგან ძიება არა აქვს. არის, უმნა.

შესქენილი არის მიზევი; ესეც არის მარტივი, რადგან ქვემდებარის მყოფობის ერთს რაიმეს აცხადებს; არის შეუნაწევრებულთი, რადგან ვითარებით ძიებად აქვს უმთავრესი, და ბუნებით ძიებად ჩვენ ნაკლებულ-ბათა, რამელსაც თანვე გარემოებით ძიებად აქვს რაოდნობით ლექსი ესე ყველანაირად.

დ. «მამ ვებრძოლოთ მას დატყვისრო-მელად» :

ეს წინადადებაც არის მო-ვეთილი, რადგან ქვემდებარე გამოკლებული აქვს; არის შიგ-შეფუობილი, რადგან სამივე ნაწილი გამოცხადებული არ არის; არის უწრფელო-ბითი, რადგან სამივე

ნაწილი ლოდიკის რიგზე არ არის; არის მისი მითითებით, რადგან მთავარ ჭ და მოკვიდელებელ წინადადებასთან დამოკიდებულობა აქვს.

ქვემდებარე არის მოკვეთილი ლექსი ესე ჩვენ; არის მარტვი, რადგან ერთი ჭ იკვირე სხვის არსთან აღნიშნავს შეერთებით; არის შეუნაწევრებული, რადგან ძიება არა აქვს. ვითოთ, არის წმინა.

შესმენილი არის მბრძოლედნი; ესეც არის მარტვი, რადგან ქვემდებარის ერთს მყოფობის ზთარებას ატყნადებს; არის შეუნაწევრებული, რადგან ძიებად აქვს ლექსი ესე მას, კარკეობითა ძიებადაც აქვს ლექსი ესე დაუცხრომელად.

კვანდად სხვა მაგალიტების დარღვევა ლოდიკებრივი ანაღისის მეთოდისაძებრ:

მაგალიტი შირუელი რომლის ქვემდებარე ჭ შესმენილი არიან მარტივნი: «ბოროტი ჩვეულობა არს საძულველი» •

ეს წინადადება არის მთავარი ჭ დამოკიდებელი, რადგან ჩემი აწრის მთავარ სავანს შეატყვამს ჭ სხვა წინადადებაზედ დამოკიდებულობა არა აქვს; არის სრული, რადგან მასშიდ მოიპოვებინა სამივე ნაწილი წინადადებისა; არის ხათლოვანი. რადგან სამივე ნაწილიც კაპოტყნადებულნი



არჩიან; არის წმინდა-ბითი, რადგან საშვენიერად
ლიც ლოდიკის კანონსედ დადებულნი არიან.

ქვემდებარე არის ბოროტი ჩვეულობა; ეს
არის მარტივი, რადგან აცხადებს მხოლოდ ერთს
საგანს; არის შენაწევრებული, ვინადაც ძიებად
აქვს ბოროტი.

შესძენილი არის საბუღალეო; ესეც არის მარ-
ტივი, რადგან აცხადებს ქვემდებარის მყოფობის
ერთს ვითარებას; არის შეუწევრებული, ვინა-
დაც ძიება არა აქვს. უმნა არის არს.

ამავე სახით განამარტე შემდეგნი მაგალიტნიც:
კაცნი არიან უძლეურნი. ცუდი ამხანაგობა არს მა-
ვნიებული ჭ სს.

მაგალიტი მეორე როდესაც ქვემდებარე ჭ შეს-
ძენილი შესავებულნი არიან: «ღარსება ჭ სათ-
ნობა არიან პატრივცემულნი ჭ სანატრელნი».

ეს წინადადება არის მთავარი ჭ დამოუვიდე-
ბელი, სრული, ნათლოვანი ჭ წმინდა-ბითი; ქვე-
მდებარენი არიან დიკსება ჭ სათნობა; ესენი
არიან შესავებულნი, რადგან აცხადებენ სხვა ჭ
სხვა ბუნების საგანთა; არიან შეუწევრებულნი,
რადგან ძიება არა აქვსთ. უმნა არის არჩიან.
შესძენილნი არიან: პატრივცემულნი ჭ სანატრელ-
ნი; ესენიც არიან შესავებულნი ვინა რთულნი,

ფინადგან ქვემდებარის სხვა ჭ სხვა მყოფობის
 ვითარებას აცხადებენ; არიან შეუხანწევრებულნი,
 რადგან ძიებანი არა აქვსთ.

მაგალიტი მესამე როდესაც ქვემდებარე ჭ შეს-
 მენილი შენაწევრებულნი არიან: «სიყვარულით
 დათმენა ჯვრისა არის შედგომა მატხოვრის
 მაგალიტისა».

ეს წინადადება არის მთავარი ჭ დამოუკიდებუ-
 ლი, ჭ თანვე განმარტოებულნი, რადგან არაჯთარი
 წინადადება მოეკიდება მას; არის სრული, რად-
 გან მასშიდ მოიხლებიან სსძივე ნაწილი წინადა-
 დებისა; არის ნათლო-ვანი, რადგან სსძივე ნაწი-
 ლიც გამოტხადებულნი არიან; არის წრფელო-ბი-
 თი, რადგან სსძივე ნაწილიც ლოლიკის კანონსე
 გაწყობილია.

ქვემდებარე არის სიყვარულით დათმენა ჯვ-
 რისა; ეს არის მარტივი, რადგან ერთს არსს აღ-
 ნაშნავს; არის შენაწევრებული, რადგან ძიებად
 აქვს ლექსნი ესენი: სიყვარულით ჭ ჯვრისა.
 ზმნა არის, არის.

შესმენილი არის შედგომ-მ მარტო-ვრის მარტი-
 ცისა; ესეც არის მარტივი, რადგან ქვემდებარის
 ერთი სსხის მყოფობას აცხადებს; არის შენაწევ-
 რებული, რადგან ძიებად აქვს ლექსნი ესენი: მარტ-

სო-ვრისა ჭ მზგაღიფისა. ამ სახითვე განმარტდებინა შემდეგნი მაგაღიფნიცა: შიტევება ბრალისა არის თვისება კეთილ გულისა.

დიდი ხნის სიტყვებზე არის დიდ ხანს საკუდილის მოლოდინება.

მაგაღიფი მეოთხე შესმენილ ზმნათა ზედა:

«ცხოვრება თავს-უფალი სვინიღისის ვბენისაგან განამსადებს მოსვენებულს საკუდილსა» .

ეს წინადადება არის მთავარი ჭ დამოუვიდებელი, რადგან არავითარ წინადადებაზედ დამოკიდებულება არა აქვს; არის სრული, რადგან მასშიდ მოიპოებისა სამივე ნაწილი წინადადებისა; არის წრფელობითი, რადგან სამივე ნაწილი ლოღივის განონით დადებულა; არის შიგ-შეტყობილი. რადგან შესმენილი ესე განმამზადებელი ძალით შეტყობილია შესმენით ზმნაშა.

ქვემდებარე არის: ცხოვრება თავის-უფალი სვინიღისის ვბენისგან; ეს არის მარტივი, რადგან აცხადებს ერთს საგანსა; არის შენაწევრებული, რადგან ძიებად აქვს ლექსნი ესენი: თავის-უფალი სვინიღისის ვბენისგან. ზმნა, არის.

შესმენილი არის: განმამზადებელი მოსვენებული სიკუდილისა; ეს არის მარტივი, რადგან ქვემდებარის ერთს თვისებას აცხადებს; არის შენაწევრებული, რადგან ძიებად აქვს მოსვენებული

სიკვდილისა.

მაკალიტი ორივე ნაირ შემთხვევითთა წინადა-
 დებათა სჯდა: «იგი იყო ქერუმი ახალთა კერ-
 ზისა, რომელიც მსახურობდა ბომონსა მას შინა,
 რომელიც იყო შეწირული ამ კერვისადმი».

ამ ფრანსსა შინა არიან სამნი წინადადებანი.
 შირველი არის: «იგი იყო ქერუმი ახალთა კერ-
 ზისა»; ეს წინადადება არის მთავარი ჭ დამოუ-
 ვიდებელი, სრული, წრფელობითი ჭ ნათლოვანი.
 ქვემდებარე არის იგი, რომელიც არს მარტოვი ჭ
 უბიებო. სმნა არის იყო; ხალა შესმენილი
 არის ქუჩუმი ახოლონ კერვისა; ეს არის მარ-
 ტოვი ჭ ბიებიანი, რადგან აქვს ძიებად ახოლონ-
 ვერვისა.

მეორე წინადადება არის: «რომელიც მსახუ-
 რობდა ბომონსა მას შინა».

ეს წინადადება არის შემთხვევითი ჭ განმარტო-
 ბითი, რადგან განათვართოებს ახრსა შირველი
 წინადადებისასა; არის სრული, წრფელობითი, ჭ
 თანვე შიგ-შეფოობილი, რადგან ლექსი ესე მსა-
 ხური განმარტსადებული არ არის, არამედ შიგ-შე-
 ტყოობილია შესმენით სმნაში. ქვემდებარე არის
 რომელიც მარტოვი ჭ უბიებო; შესმენილი არის



მსახურნი, რომელიც არის მარტივი ჭ მარტივი და
რადგან აქვს ეს ორი ძიება: აზო-ლო-ბ ვერძისა და
ბო-მო-სა მას შინა.

მესამე არის: «რომელიც იყო შეწირული ამ
ვერძისათვის».

ეს არის შემთხვევითი და განსაზღვრებითი წინა-
დადება, რადგან მოკვიდების სხვა წინადადებასა და
საჭიროებითად განსაზღვრის მის აზრსა; კვანდა-
ცა არის სრული, წრფელთ-ბითი და ნათლო-ვანი გი-
ნა ცხადი, რადგან სამივე ნაწილი სრულად, ნათ-
ლოუნად და წრფელთ-ბითად გამოცხადებულნი
არიან. ქვემდებარე არის რომელიც, მარტივი და
უბიებო, და წარმომადგენელი აზოლო-სის ბო-მო-
სისა გინა ცხადისა. სმნა არის იყო. შესმენილი
არის შეწირული, რომელიც არის მარტივი და ძი-
ებანი, რადგან აქვს ძიებად აზო-ლო-ბ ვერძისა-
თვის.

მანგალიტი მოკვეთილი და შემთხვევითი წინადადე-
ბა სედ: «ვანტანუ-გურგასლანი მოკვდა ვითარცა
კმირი».

ამ ფრასში არის ორი წინადადება, ერთი არის
მთავარი და დამო-უკიდებელი, სრული და წრფელთ-
ბითი, და თანვე შიგ-შეტყობილი, რადგან შესმენი-
ლი სმნაში შეტყობილია. ქვემდებარე არის ვან-
ტანუ გურგასლანი; არის მარტივი და ბიებანი. სმნა

შეიტყობების აქ იქმნა. შესმენილი არის მარტივი ჭ შენაწევ-
 ვუდარნი, რომელიც არის მარტივი ჭ შენაწევ-
 რებუელი, რადგან ძიებანდ აქვს შემდეგი წინადა-
 დება ესე: ვითარცა გმირი. მეორე წინადადება
 არის: ვითარცა მოვკვდების ერთი გმირი: ეს არის
 შემთხვევითი ჭ განსასწავლებელი წინადადება, რად-
 გან მოკვიდების მთავარ წინადადებასა ჭ აცხად-
 ებს მიუტოვებრივ სიტყვით განკარგებასა მისსა.
 არის მოკვეთილი, რადგან სმნა ჭ შესმენილი მო-
 კვეთილი აქვს ჭ ძალითად შეიტყობებიან მასში.
 ქვემდებარე არის ერთი გმირი, რომელიც არის
 მარტივი ჭ ძიებანი. სმნა არის არს. ხალხ
 შესმენილი არის მომკვდარი, მარტივი ჭ შე-
 უნაწევრებელი.

მკვლევარი კითხვითი წინადადებისა. «ვინ იკად-
 ნიერებს შეუწყობს-ყოფასა სათნოებისასა».

ამ ფრაზში არის ორი წინადადება: შირველი
 მთავარი და მოკვიდებელი ჭ შიგ-შეიტყობილი
 რომელიც არის: მე ვიძევ. ამისი ქვემდებარე არის
 მე, მარტივი ჭ უძიებო. სმნა არის ვარ. შესმე-
 ნილი არის გამოშვიებული, ესეც არის მარტივი
 ჭ შენაწევრებელი, რადგან ძიებანდ აქვს წინადა-
 დება ესე ვინ იკადნიერებს ჭ სს.



მეორე წინადადება არის: «ფინიკიანური
შეურაცხ-ყოფასა სათნოებისასა» .

ესეც არის შემთხვევითი ჭ განსაზღვრებითი წინადადება. ქვემდებარე არის ვინ. ზმნა, იქმნებ-ის. შესენილი არის ვადაიერი, რომელიც არის მარტივი ჭ შენაწევრებული, რადგან ძიებად აქვს ლექსნი ესენი: შეურაცხ-ყოფასა სათნოებისასა.

მაგალიტი განკვირებით წინადადებასეც.

«აჰ! მოძაბუე!» !

ამ ფრაზაში არის ორი წინადადება: ზირველი არის აჰ! რომელიც არის მთავარი დამოუკიდებელი წინადადება, ჭ თანვე არის მოკვეთილი, რადგან ამ აჰ! ლექსში საძივე ნაწილი წინადადებისა, რომელიც არის მე ვარ განკვირებული, განმოტოვილია. ქვემდებარე არის მე. ზმნა ვარ. შესენილი განკვირებული. მეორე წინადადება არის მოძაბუე: ეს არის მთავარი ჭ მიმართობითი წინადადება, ჭ არის მოკვეთილი რადგან ქვემდებარე განმოტოვილია ჭ თანვე შიგ-შეფუთბილი, რადგან შესენილი ზმნაში შეტყობილია. ქვემდებარე არის შიგ-შეტყობილი ლექსი ესე შენ. ზმნა არის იქმნებ. ხოლო შესენილი არის მომფრეებული, რომელიც არის მარტივი ჭ შეუნაწევრებული, რადგან ძიება არა აქვს.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

ნაწილი პირველი.

ფურცელი.

	სიტყვა წამკითხველისადმი.	ა.
	შესავალი გრამატიკისა.	51.
თ ა ჯ	ა, ლექსითა-სედა.	52.
ბ,	ანსებითა სახელსა-სედა.	54.
გ,	ნათესავსა-სედა სახელისსა.	55.
დ,	სედა-შესრულსა-სედა.	56.
ე,	რიტხვითს სახელსა-სედა.	57.
ვ,	თვისებათა-სედა სახელთა.	58.
ზ,	ბრუნვასა-სედა.	59.
თ,	რით ნაირ განკლელობა-სედა.	45.
ი,	ნაცვალ სახელსა-სედა.	50.
ი ა,	შმნასა-სედა.	57.
ი ბ,	უღლულებსა-სედა შმნისსა.	65.
ი გ,	მარტვალთა-სედა რომელნიც მო- ესწავებიან შმნათა.	87.
ი დ,	სხვა და სხვა შემტნებანი შმნათათჳს	90.
ი ე,	მიძლეობისათვის.	92.
ი ვ,	თან-დებულსა-სედა.	95.
ი ზ,	შმნის-სედაისა-თვის.	95.
ი თ,	კავშირსა-სედა.	97.
ი ი,	შეწინდებულისა-თვის.	98.



Եսեան Գրահ/



Երևանի քաղաքի (1.06.1890) 99

Գրահ Գրահ

Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ 99

Գրահ Գրահ

Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ 102

Գրահ Գրահ

Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ 105

Գրահ Գրահ

Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ 108

Գրահ Գրահ

Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ 110

Գրահ Գրահ

Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ 112

Գրահ Գրահ

Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ 114

Գրահ Գրահ

Գրահ Գրահ

Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ 117

Գրահ Գրահ

Գրահ Գրահ

Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ 118

Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ Գրահ

	աՅ՛՛՛՛՛ զ՛՛՛՛՛	
7969010	ԶԲՁ ԶԻՉԻՆՅԱՆՆԵՐՍ	120
	աՅ՛՛՛՛՛ զ՛՛՛՛՛ 21493/17	
7969050	ԶԲՁ ԵՄԵՐՆԻՅԱՆՆԵՐՍ	122
	աՅ՛՛՛՛՛ զ՛՛՛՛՛ 23003/17	
7969060	ԶԲՁ ԵՄԵՐՆԻՅԱՆՆԵՐՍ	124
	աՅ՛՛՛՛՛ զ՛՛՛՛՛ 24003/17	
7969070	ԶԲՁ ԵՄԵՐՆԻՅԱՆՆԵՐՍ	125
	աՅ՛՛՛՛՛ զ՛՛՛՛՛ 25003/17	
7969080	ԶԲՁ ԵՄԵՐՆԻՅԱՆՆԵՐՍ	127
	աՅ՛՛՛՛՛ զ՛՛՛՛՛ 26003/17	
7969090	ԶԲՁ ԵՄԵՐՆԻՅԱՆՆԵՐՍ	127
	աՅ՛՛՛՛՛ զ՛՛՛՛՛ 27003/17	
7969100	ԶԲՁ ԵՄԵՐՆԻՅԱՆՆԵՐՍ	129
	աՅ՛՛՛՛՛ զ՛՛՛՛՛ 28003/17	
7969110	ԶԲՁ ԵՄԵՐՆԻՅԱՆՆԵՐՍ	130
	աՅ՛՛՛՛՛ զ՛՛՛՛՛ 29003/17	
7969120	ԶԲՁ ԵՄԵՐՆԻՅԱՆՆԵՐՍ	132
	աՅ՛՛՛՛՛ զ՛՛՛՛՛ 30003/17	
7969130	ԶԲՁ ԵՄԵՐՆԻՅԱՆՆԵՐՍ	136



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა